ამმაღლებელი ხალხისა თვით ამაღლდება ცათამდე

სეზონი

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება

№ 3. 13 მაისი, 1990 წელი. — გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ გივი გუმბარიძეს

ასლი: (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ-ნ ვ. ცხოვრებაშვილს
გაზეთების „საბჭოთა ოსეთის“ და „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციებს

მ ო თ ხ ო ვ ნ ა

როგორც თქვენთვის ცნობილია, სამაჩაბლოს მთავარმა საგაფიცვო კომიტეტმა დროებით შეწყვიტა აქცია, ვინაიდან ვთვლით, რომ მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულებას გარკვეული დრო სჭირდება და აძლევს მთავრობას საშუალებას შეასრულოს დანაპირები.

ამჟამად, როდესაც მთელ საქართველოში მიმდინარეობს მზადება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღის, 26 მაისის, ღირსეულად შესახვედრად, დღეს, 26 აპრილს, ერთი თვით ადრე, მოგმართავთ, რათა გაატაროთ ყოველგვარი ღონისძიება ამ დღის ღირსეულად აღსანიშნავად მთლიანად სამაჩაბლოში და, კერძოდ, ცხინვალში. თუ 26 მაისს კვლავ გამეორდება გასული წლის 26 მაისის და მიმდინარე წლის 8-9 აპრილის ანტიქართული ექსცესები, რომელმაც შეურაცხყო არამარტო ქართველი საზოგადოება, არამედ ოსი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი და ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ჩავთვლით, რომ მთავრობა უსუსურია ან ანტიქართულ პოზიციებზე დგას.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ არ იქნება გატარებული ყველაის ღონისძიება, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნა, მაშინ სამაჩაბლოს ქართველობა მიმართავს რადიკალურ ზომებს. კერძოდ, ცხინვალის ქართველი მოსახლეობა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ არ იცხოვრება ამ ძირძველ ქართულ მიწაზე, დასტოვებს მას და დასცემს კარვებს თბილისში, რათა აუწყოს მსოფლიოს თუ როგორ გახდა ქართველი ლტოლვილი თავის სამშობლოში, ხოლო აღნიშნულ შედეგებზე პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ!

მოთხოვნა მიღებულია თამარაშვილის 24 აპრილის მიტინგის მონაწილეების მიერ.

სამაჩაბლოს საგაფიცვო კომიტეტი

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების განცხადება

ამა წლის 24 აპრილს მოხდა აღმაშფოთებელი ინციდენტი, ჩირქი მოეცხო მთელ ეროვნულ მოძრაობას. ჩვენ, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებს, მიგვაჩნია, რომ ეროვნულმა ფორუმმა არ მიიღო სწორი გადაწყვეტილებანი მომხდარი ფაქტის სათანადოდ შეფასებისათვის. გარდა ამისა, ეროვნულ ფორუმში, დღიდან დაარსებისა, სუფევს არაკოლეგიალური, არაჯანსაღი ატმოსფერო. ვერ მოხერხდა მანამდე არსებულ დაპირისპირებულობათა შერბილება, პირიქით, კიდევ უფრო გამძაფრდა და რელიეფურად გამოიკვეთა ეს დაპირისპირებულობანი. ყველაფერ ამის გამო ფორუმში საეჭვო გახდა მისი უმთავრესი ამოცანის — ეროვნული კონგრესის არჩევნების მომზადების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება მიუღებლად მიიჩნევს დღეს არსებულ ეროვნულ ფორუმში ჩვენს ყოფნას და ვტოვებთ რა მას, ამასთანავე ვიმედოვნებთ, რომ ეროვნული მოძრაობის საღი ძალები რეალობად აქცევენ ეროვნული კონგრესის არჩევას, რისთვისაც მერაბ კოსტავას საზოგადოება ძალას და ენერგიას არ დაიშურებს, თავის წვლილს შეიტანს ამ უაღრესად საჭირო და რთული მისიის განსახორციელებლად.

კონსტანტინე გამსახურდია

მე ვარ სარანგი ღამისა

ღამე არის მწვანე მანდილოსანი,
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამე არის იდუმალის მგოსანი.
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამე მოგვცა მაცხოვარის ხატმან.
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამე არის ღვთაებრივი ატმან.
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამეების სიბნელეში ვიშვით.
მე ვარ სარანგი ღამისა:
დავილევით ღამეების შიშით.
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამე მოვა სიძე ანაზდეული.
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამეს ეტრფის ყველა მზედალეული.
მე ვარ სარანგი ღამისა:
ღამე არის ნაღვლიანთა მაცხოვარ.
მე ვარ სარანგი ღამისა:
მადლობა ღმერთს, მხოლოდ ღამეს ვახსოვარ.
მე ვარ სარანგი ღამისა...

სიყვარული არს აღსრულება სჯულისა

სწავლა სიყუარულისათვის

დიდი ქართველი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია უპირატესად ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებებით, როგორიცაა „ქართული ლექსიკონი“ („სიტყვის კონა“) და „სიბრძნე სიცრუისა“ და ფუძემდებელი ქართული დოკუმენტური პროზისა („მოგზაურობა ევროპაში“); იმით, რომ გაასრულა ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებული „ქილილა და დამანა“, თარგმნა იქ მოთავსებული სპარსული ლექსები, რომლებიც მაღალი კულტურითა და ხალექსო ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რითაც სათავე დაუდო ქართული ლექსის რეფორმას.

შედარებით ნაკლებადაა ცნობილი მისი დამსახურება ქართულ სასულიერო მწერლობაში; ქრისტიანული მწერლობის ძირითადი დოგმები გადმოცემული მის სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების თხზულებაში „სამოთხის კარი“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქადაგებათა კრებული „სწავლანი“. წერდა ჰიმნოგრაფიული ხასიათის თხზულებებსაც. დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიის შესწავლა-რედაქტირებაში.

მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ ერთ ქადაგებას „სწავლანიდან“. მასში განმარტებულია ქრისტიანული შეხედულება სიყვარულზე.

„ძმანო, არა მცნებასა ახალსა მივსწერ თქვენდა, არამედ მცნებასა პირველსა, რომელ გაქვნდა დასაბამითგან. სიყვარული მცნებაი იგი პირველი არს, სიტყვაჲ იგი, რომელი მესმა პირველითგან“, — დასწერს იოანე მახარებელი პირველის კათოლიკესა მეორესა თავსა შინა.

ხედავთა მახარებელსა, ვითარ სწავლა ესე არა ახალი, პირველითგანვე უფლისა მიერ მცნებული და სჯულსა შინა მოცემული, აწ განგიახლათ და მოგახსენათ ძველითა იგი, რათა გულნი თქვენნი უმტკიცესად-რე დაემყარნეს სიყვარულსა ზედა.

ამისთვის მოგახსენა, რომელსა დასწერს მოსე წიგნსა გამოსლვათასა მეოცესა თავსა შინა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ესე მცნება არა ახალი გითხარ ყოველივე, არამედ პირველი იგი, რომელ მოსცნა ღმერთმან მოსეს ფიცარნი თითითა ღმრთისაჲთა მას შინა წერილნი, რომლისათვის დაამტკიცებს პეტრეცა, თავი მოციქულთა, პირველსა მისსა კათოლიკესა შინა: „სიყვარული გარდამეტებული გაქვდინ, რამეთუ სიყვარულმან დაფარა სიმრავლე ცოდვათა“.

რაღაა, ჰოჲ პეტრე, ამის უფროსი სიყვარული, რომელი ბრძანა უფალმან — შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისიო?

დიდ არს სიყვარული ესე, უკეთუ ვყოთ!

გესმითა, ძმანო, იოანე გვიბრძანებს პირველისა მის მცნებისა აღსრულებასა, რათა გვიყვარდენ მოწვარენი ჩვენნი, ვითარცა თავი ჩვენი. არამედ თავი მოციქულთა პეტრე ახალსა მცნებასა მოგვცემს, რათა გარდამეტებული სიყვარული გვაქვნდეს მოყვასთა ჩვენთა თვისისგან თავისა, რათა, ცოდვათა სიმრავლე დაიფარნეს.

ხედავთა, მოციქული ვისა მიბაძვასა გვიბრძანებს? გვაჩვენებს, რა ყო ჩვენთვის მაღალმან ძემან ღმრთისამან, ოდეს შემიყვარნა ჩვენ მრავალცოდვილნი სიყვარულითა მით გარდამეტებულითა, რომელმან სულიცა თვისი დადგა ჩვენთვის და ჯვარითა სიკვდილი დაითმინა, რომლისათვის იტყვის იოანეს სახარების 25-ე თავსა შინა: „არა არს სიყვარული უფროჲს ამისა, რომელმან დადვის სული თვისი მეგობრისა თვისისათვის“.

ხოლო იესუ ქრისტემან არა თუ მეგობართათვის დადვა სული თვისი, რომელსა არა სადა ჰყავს მოყვასი, არცა სწორი, არამედ — ჩვენ უხმართა მონათათვის. ვინაითგან გვიხილნა უწყალოჲსა მტერისა მიერ დამონებულნი და ძილეგთა გამოუხსნელთა შინა შემწყვდეულნი და არა უგულებელს გვყვნა ურჩებითა მისითა წარწყმედილნი. სიყვარულითა მით გარდამეტებულითა შომძიძია ჩვენ, დამდაბლდა და მსგავს ჩვენდა იქმნა. არაძეც არა მსგავს ჩვენდა მოკვდა ჩვენთვის, არამედ, ვითარცა ერთი

(დასასრული მე-4 გვ.)

სწავლა სიყუარულისათვის

(დასასრული)

ცოდვილი და შეურაცხი, ჯვარსა დაჰოკიდა. სიყვარულისა ჩვენისათვის გვაჩვენა ჩვენ თვალითა, ხოლო სიტყვითაცა გვასწავა, რომელი იტყვის პირითა იოანესითა: „უკეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, ამით ვსცნა, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს“.

ესე არს მოწაფე-ყოფა ჩვენისა. ესე არს სჯული ქრისტეს მიერ მოცემული — პირველ მოსეს ზე და მეორედ მოციქულთა ზე, რათა გვაქვნდეს სიყვარული. და უკეთუ არა გვაქვნდეს სიყვარული, ნუ სახელვსდებთ ქრისტიანედ ყოფასა.

ამისთვის დასწერს წმიდა პეტრე, თავი მოციქულთა, პირველსა მისსა კათოლიკისა პირველსა თავსა შინა: „ეულითა წმიდითა ურთიერთარს იყვარებოდეთ გარდამეტებულადო“.

რა არს, ძმანო საყვარელნო, გარდამეტებული სიყვარული გულითა წმიდითა?

... არა ჯერ არს ქრისტიანეთაგან ბაძვა მსოფლიოთაგანსა, არამედ ბაძვა უფლისა ჩვენისა, ვინაითგან შემიყვარნა ჩვენ ქრისტემან და შვილ ღმრთისად გამოგვაჩინა, რომლისათვის იტყვის იოანეს მახარებელი 25,5: „ვითარცა შემიყვარა მე მამამან, მეცა შეგიყვარენ თქვენ, დაადგერით სიყვარულსა ჩემსა ზედა“.

ამისთვის ჩვენცა გვიღირს, რათა შეყვარებელი ჩვენი შევიწიოთ და ზეციერთა ებაძევდეთ საქმეთა კეთილთა, რამეთუ რომელსა ლოცვათა შინა მამად ვხადით, იგი ხაყოფითა აღავსებს კეთილისა მოქმედთა და ბოროტთაცა, რათა კეთილისყოფითა მისითა გულისხმა ყონ საქმენი მათნი და მოიქცენ სიბოროტისაგან და კეთილთა ჰპოონ სასუფეველი ყოველთა.

ვინაითგან მამად ჰხადით ღმერთსა, და იგი არა მოიძულებს ბოროტის მოქმედსა და ელის სინანულსა, და შენ გძულს ნათესავი შენი ეთაგან ადამისა, ვითარღა იტყვი ძედ ღმრთისად წოდებად და თხოვად მამისა მიმართ ნიჭთა რაჲსამე, ანუ ძმად ქრისტესა სახელის დებად, რომელმან შეიყვარა ბავლე, განმრყეველი სამწყსოთა ქრისტესთა? რომელი თვით ბავლეცა მიუწერს კორინთელთა პირველსა ებისტოლესა შინა: „ესაღაოთუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყვარული არა მაქვნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რკალი, რომელი ოხრინ... მაქვნდეცღა თუ ყოველი სარწმუნოებაი, ვიდრე მთათა ცვლეადადე, და სიყვარული არა მაქვნდეს, არა-რაჲვე ვარ. შე-ღათუ ეაჭამო ყოველი მონაგები ჩემი, და ეგზცნე ბორცნი ჩემნი დასაწვეოდ და სიყვარული არა მაქვნდეს, არა-რაჲვე სარგებელ არს ჩემდა.“

გულისმსა დიდისა მოციქულისა, ძმანო, რამეთუ არცაღა კაცობრივთა ენათა მოუბრობა, არცა ანგელოზებრივი ქადაგება, არცა წინასწარმეტყველება და სიბრძნით საიდუმლოს ცნობა, არცა მრავალნი სასწაულნი და სარწმუნოება, არცა მონაგებთა გლახაკთა განყოფა, არცაღა თუ ქრისტესათვის ტანჯვათა დათმენა და ცეცხლითა და მახვილითა განკაფა სარგებელ გვეყოს, რომელთა არა გვაქვნდეს სიყვარული, და თუცა ვიყოთ მოძულე კაცთა, ყოველნივე უხმარ ჩვენდა იყვნეს და არცაღა შემიყვარნეს ჩვენ ღმერთმან და ვერცა კეთილი რამე მოვიღოთ მისგან, უწყოდეთ ყოველთა!

არამედ სიყვარულითა უცოდველითა რომელ გვიყვარდენ ნათესავნი ჩვენნი, ძენი ადამისანი ყოველნი, შემიყვაროს ჩვენ ღმერთმან სიყვარულითა მით გარდამეტებულითა და დაფარნეს ცოდვათა ჩვენთა სიმრავლე უეჭველად.

არათუ სიყვარული ბოროტი უყვარს უფალსა, არცა სიყვარული ბილწებისა, არცა სიყვარული ზაკვისა, რომლისათვის იტყვის იოანე პირველსა კათოლიკესა შინა: „შვილო ჩემო, ნუ იყვარებით სიტყვითა, ნუცა ენითა, არამედ საქმითა ჭეშმარიტებისაჲთა“.

ისმინე, ვითარსა სიყვარულსა გიბრძანებსთ საყვარელი ქრისტეს მოწაფე: არა უნდა მას სიყვარული ოდენ სიტყვითა. რომელნი იჩემებენ კაცთა სიყვარულსა და ეტყვიან ტკბილად და ნატრობენ ხილვასა მისსა და იზრახიან დღეთ სიგრძესა მათსა, ხოლო გულნი მათნი განშორებულ არიან, და არა უნდა! აუბნენენ ენათა ზაკვით, რეცა ეჩვენონ მოწყალედ, კაცთა საჩვენებლად იქმნან ოცნებით რადმე სიყვარულსა, ხოლო გონება მათი აღსავსე არს სიძულვილითა მოუკლებელითა, რომლისათვის მიუწერს პავლე მოციქული რომაელთა: „განეშორენით მათგან, რომელნი ეგვეთმარნი უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვისთა მუცელთა, და ტკბილითა მეტყველებითა და კეთილთა აცთუხიან გულნი უმანკოთანი“.

ხედავა სიყვარულმან რა ყო? ვინაითგან ქრისტემან არა რიდა თავსა თვისსა დამდაბლებად, დაგლახაკებად და შეურაცხებად, ყოვდრებად, ტანჯვად და უწყალოდ სიკვდილადცა, რამეთუ ჯვარსა ზედა განქიქებით დამოეკიდა სიყვარულისათვის ჩვენისა, ჩვენ რაიმეღა გვიღირს, საყვარელნო? უკეთუ ქრისტემან ჩვენ განდგომილნი ესრეთ შემიყვარნა, წყევასა ქვეშე მოიკლა თავი თვისი, რათა მით განაქარვნეს წყევანი ჩვენნი, ჩვენდა არა ჯერ არსა, რათა შევიყვარნეთ ნათესავნი ჩვენნი, კაცნი, ძენი ადამისნი, ნუუკვე და მაწყინარიცა ჩვენდა იყოს?

უკეთუ შვილი მამისგან კეთილსა ხედვიდეს და თვით არა იქმოდეს ნაქმარსა მამისა თვისისასა, ვითარ ძე მისი იქმნების? არა განდგომილად შეირაცხების იგი? მაშა, უკეთუ მამად გვხებავს ღმერთი, ჩვენდა ჯერ არს საქმეთა მისთა ქმნა, რაოდენი გვაძცნო და ძალ გვედვას, რომლისათვის დასწერს იოანე მახარებელი პირველსა თავსა კათოლიკესა შინა: „საყვარელნო, ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, რამეთუ სიყვარული ღმრთისაგან შობილ არს და ყოველივე, რომელსა უყვარდეს, ღმრთისაგან არს და იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“.

ჰოჰ, დიდ არს სიყვარული და ყოვლისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მადლთა უდიდებულესი და ყოველთა ეკეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებული!

ვინაიდან ღმერთი არს სიყვარული, რაღა-მე გნებავსთ, სიყვარულისა მეძიებელნო? რომელმან მოიგოთ სიყვარული, ღმერთი მოგიგიეს და, რომელმან ჰპოოთ სიყვარული, ღმერთი გიპოვნიეს. სიყვარული სხვა არღარა რა არს, გარნა ძედ მაღლისად წოდებად. ხეტარ ხართ, რომელმაწ მოიგოთ ესე!

ამით საცნაურ არს უხილავად სიყვარული ღმრთისა, რომელსა უყვარდეს მტერი თვისი და კეთილსა უყოფდეს მას, რამეთუ იგი საყვარელ ღმრთისა იქმნების და ძედ მაღლისად წოდებული.

საყვარელნო, ვინაითგან სიყვარული ნათესავისა შენისა საყვარელ გყოფს ღმრთისა და დაჰფარავს ცოდვათა სიმრავლესა მიმსგავსება ქრისტესი და ძმად წოდება იესუსი, ძედ მაღლისად გამოჩინებელი და დამამკვიდრებელი სასუფეველისა შვილად, რაისაღა სხვისა სასწავლოსა სწავლად ვეჭირვით და არა სიყვარულისათვის? რასაღა ვბუშაკობთ სხვათა სამუშაოთა და არა სიყვარულისა? რისათვის ვშვრებით სოფლისა ამის დევნისათვის და არა შეუდგებით სიყვარულსა, ვინაითგან ღმერთი არს სიყვარული?

სადა უცოდველი სიყვარული არს, მუნ ეშმაკისა მანქანებს უხმარ იქმნების; სადა წმიდა სიყვარული არს, მუნ სატანას საცთური განქარდების; სადა პატიოსანი სიყვარული არს, მუნ ბელიარისა მზაკვრება ვერა დადგრების; სადა სრული სიყვარული არს, მუნ ჯოჯოხეთისა სახელი აღიხოცების.

აწ, საყვარელნო ღმრთისანო, შეუკრიბეთ თავთა თქვენთა სიყვარული არა სიტყვითა და ენითა, არამედ საქმითა და აღსრულებით, ვითარცა მოციქულნი სწერენ, და მოიგეკვეთ საუნჯე ესე პატიოსანი, რათა სიყვარულსა მას, და მოყვასსა სიყვარულისა ქოქმედისასა მიეახლნეთ და მის თანა იხარებდეთ უკუნისამდე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ გივი გუმბარიძეს

ქალაქ რუსთავის შრომა-გასწორების უი 123-29-ის რიგი მსჯავრდადებულებისა, რომლებიც ვიმყოფებით უვადო შიმშილობაზე, უსამართლოდ ვიხდით სახელს, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების წყალობით გვერგო წილად. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ გვაქვს მიმართული ზემდგომ ინსტანციებში საჩივრებით ჩვენი სიმართლის დასადგენად, მაგრამ სიმართლის პოვნის მაგივრად ყველას ერთი და იგივე პასუხი მოგვდის; „სწორად ხართ გასამართლებულები“. აქედან გამომდინარე, ბოლომდე „მოგვეწურა“ სიმართლის პოვნის იმედი. მისულები ვართ სულიერი და ფიზიკური ტანჯვის იმ ზღვართან, რომლის იქითაც ყველაფერი, თვით ჩვენი სიცოცხლეც კი, აზრს კარგავს. ამიტომ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ:

1. შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია კვალიფიციური იურისტებისა და ბაზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც შეისწავლიან ჩვენს საქმეებს;

2. მოვითხოვთ: შეხვედრას კომისიასთან, რათა პირდაპირ მოვახსენოთ მათ ჩვენი გულისტკივილი;

3. ჩვენი მიმართვის ტექსტი გაეცნოს ფართო საზოგადოებას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

განცხადება დაწერილია საკუთარი სისხლით და ხელს ვაწერთ მოშიმშილეთა ერთი ჯგუფი:

1. ვ. ა. ბითარიშვილი
2. ფ. ვ. ჩეგიანი
3. ლ. ხ. ელბაქიძე
4. გ. ი. იარაჯული
5. ნ. ვ. ავოიანი
6. ვ. ფ. ჯიქია
7. ხ. ე. ებიტაშვილი
8. ო. გ. სობაძე
9. გ. კ. ხუციშვილი
10. ე. ა. რამაზაშვილი
11. ტ. ჯელია
12. ა. ა. გირგვლიანი

განცხადების დედანი ინახება სრულიად საქართველოს მეჩაბ კოსტავას საზოგადოებაში (რედ.).

ლიტვა დღეს

გზა თავისუფლებისაკენ

ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ესაუბრება „საიუდისის“ სეიმის წევრი რიჩარდას პაბირსისი:

— იმ მოვლენების შემდეგ, რაც თქვენთვის უკვე ცნობილია, ლიტვაში შეიქმნა ორი პარტია: სკკპ ლიტვის კომპარტია და ლიტვის კომუნისტური პარტია.

მოსკოვი მხარს უჭერს სკკპ ლიტვის კომპარტიას, რომელსაც ბურაკიავიჩუსი უდგას სათავეში. ამჟამად კონფრონტაციის ერთი მხარეა კამათი, რომელიც წარმოიშვა ამ ორ ორგანიზაციას შორის: სკკპ ლიტვის კომპარტია ამტკიცებს, რომ ყოფილი სკკპ-ს ყველა შენობა მისი კუთვნილებაა, თუმცა ამ შენობათა ნაწილი ომამდეა აშენებული, ნაწილი კი სხვადასხვა ორგანიზაციებს ჩამოერთვათ მოსკოვის მმართველობის დროს, მაგრამ მოსკოვი არ თანხმდება არანაირ იურიდიულ მოლაპარაკებაზე და არ სურს გაიგოს, რომ ეს ყველაფერი შექმნილია არა სკკპ-ს, არამედ ლიტველი ხალხის ხარჯით. ქალაქში იმყოფებიან მილიციის ფორმაში გადაცმული სპეციალური სამხედრო ნაწილები და სადესანტო ჯარები. აღებულია უმაღლესი პარტიული სკოლა, ვილნიუსის საქალაქო კომიტეტი, ლიტვის კომპარტიის ცკ შენობა. იყო ცდა აეღოთ გამომცემლობა; იქ შეიჭრა 30-მდე გადაცმული კაცი, მაგრამ „საიუდისის“ წევრები მჭიდრო რკალად შემოერტყენ მათ და აიძულეს დაეტოვებინათ ეს 18-სართულიანი შენობა. თავდასხმის დროს სამხედროებმა გამოიყენეს „დუბინკები“, ფეხით გადათელეს ადამიანები, სცემეს ლიტვის უმაღლესი საბჭოს გარემოს დაცვის კომისიის ხელმძღვანელს დეპუტატ ვიშვილ ზიგმასს. ისევ გათელეს ადამიანთა ელემენტარული უფლებები, მაგრამ საბჭოთა საოკუპაციო ჯარებს ამით ვერ გააოცებ. ამჟამად სკკპ ლიტვის კომპარტიაში ირიცხება 27 ათასი კაცი, ლიტვის დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიაში კი 84 ათასი. ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული კანონებიდან მოსკოვმა მოითხოვა გაუქმდეს სამი აქტი:

1. ლიტვის მოქალაქეთა რეგისტრაცია;

2. კანონი ახალწვეულთა შესახებ; ლიტვა სხვა სახელმწიფოა და 1949 წლის კონვენციით მის მოქალაქეებს აქვთ უფლება არ იმსახურონ საოკუპაციო ჯარში, მოსკოვი კი ამას საერთო სამხედრო ვალდებულების დარღვევად მიიჩნევს;

3. მოსკოვი ბრალს დებს ლიტვის მთავრობას სკკპ ქონების მიტაცებაში.

მათი განცხადებით, ეს სამი პუნქტი აიძულებს საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვას ლიტვას ენერგორესურსების მიწოდებაზე. გამორთულია მიაქეკაის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, დარჩენილი გაზი მთლიანად კომუნალური სამსახურის საჭიროებებს ხმარდება. მართალია, მოსკოვი ამაზე ოფიციალურად არავითარ მითითებას არ იძლევა, მაგრამ მოქმედებს ნავთობისა და გაზის სამინისტროების საშუალებით. 25 აპრილს ლიტვის წარმომადგენელს მოსკოვში ეგლდინიუს ბიჩკაუსკასს მიეცა მითითება მიეღო ოფიციალური დოკუმენტები ბლოკადის ამ აქტზე. ლიტვაში შეწყდა შემოსვლა მთელი იმ პროდუქციისა, რომელიც საჭიროა ფაბრიკებისა და ქარხნების შემდგომი მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, ლიტვამ ივალდებულა მოკავშირე რესპუბლიკებთან დადებული ყველა ხელშეკრულების შესრულება. ასევე შემცირდა საკვები პროდუქციის, მათ შორის შაქრის მოწოდება. კ. პრუსკენემ იმოგზაურა სკანდინავიურ ქვეყნებში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კერძო მეწარმენი არ მიატოვებენ ლიტვას გასაჭირში. სტოკჰოლმში გაიხსნა საბანკო ანგარიში ლიტვის დასახმარებლად, უკვე შეგროვდა 300 ათასი დოლარი. ლიტვაშიც გაიხსნა „ლიტვის ბლოკადის ფონდი“ № 4700715 ქალაქ ვილნიუსის სოციალურ ბანკში.

ხალხში სიმშვიდეა, არ იგრძნობა არავითარი პანიკა. ყველამ იცის, რომ ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უკან არ დავიხევთ. 21-22 აპრილს ვილნიუსში გაიმართა „საიუდისის“ ყრილობა. უნდა აღინიშნოს, რომ „საიუდისი“ ისევ საზოგადოებად დარჩა, არ გადაკეთდა პარტიად. შეიქმნა მისი ახალი პროგრამა; არაუგვიანეს 3 ივნისისა ნავარაუდევია სეიმის მოწვევა, რაც „საიუდისის“ ჩამოყალიბების მეორე წლისთავს დაემთხვევა. ლიტვას ეწვია დიდი ბრიტანეთის სოციალური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა. თუ შარშან შემოდგომაზე დამოუკიდებლობას ემხრობოდა ლიტველთა 72%, ამჟამად მათი რაოდენობა 80%-მდე გაიზარდა. სკკპ ლიტვის კომპარტიას მხარს უჭერს მოსახლეობის 3%. ლიტვის მთავრობის მომხრეა ვილნიუსში მცხოვრები პოლონელთა ორი მესამედი. შესაძლოა, ლიტვაში შემოიღონ სამხედრო მდგომარეობა და დახურონ კლაიპედის პორტი. ბელორუსიაში იხსნება ლიტვისათვის დანიშნული ყველა ვაგონი.

ჩვენ ვუსურვებთ ქართველ ხალხს კვლავ მოიპოვოს თავისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენს საუკუნეში მხოლოდ სამი წლით შეინარჩუნა. ვფიქრობთ, რომ საქართველომ უნდა აირჩიოს პარლამენტური ბრძოლის გზა (რაშიც ვერ დავეთანხმებით, **რედ.**) ვუსურვებთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბალტიისპირეთთან ერთად ეპოვოს გზა თავისუფლებისაკენ. გვწამს, რომ ქართველი ხალხი, რომელმაც მსხვერპლის გაღებით გამოიარა განსაწმენდელი, პირველი დაადგება ამ გზას.

ვუსურვებთ გაზეთის მკითხველებს, ჰქონოდეთ რწმენა, თომმინება, „ურთიერთნდობა“, მჭიდრო კავშირი და გამტანობა ახალი, თავისუფალი საქართველოს სახელით. საქართველო ყოველთვის ახლოს იყო ჩვენთან სულიერად და ასე გაგრძელდება მომავალშიც, ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნებით.

დაე, თქვენი გაზეთის მკითხველთა უმრავლესობა თქვენი მეგობარი და თანამოაზრე გამხდარიყოს.

ლალი გოზალიშვილი,
ვილნიუსი — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონო მაია, თუ შეიძლება, გვიამბეთ, რა მუშაობას ეწევით მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო ფონდში?

— მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო ფონდი უდიდეს მუშაობას ეწევა საქართველოს მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების საქმეში. ფონდის მიზანია დახმარება გაუწიოს დემოგრაფიული თვალსაზრისით მწვავე რეგიონებსა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, მრავალშვილიან ოჯახებს, ხანდაზმულ მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ მოვლა-პატრონობას; აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნას საბინაო ფონდი, მისთვის უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწის ფონდი. მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდში ფულადი სახსრების ჩარიცხვა ხელს შეუწყობს ზემოთაღნიშნული პრობლემების დადებითად გადაწყვეტას. მე ფონდის სათათბიროს წევრი გახლავართ და თავს უფლებას მივცემ მოვუწოდო ქართული მუსიკალური ხელოვნების ყველა წარმომადგენელს, მუსიკალურ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს, მუსიკალურ სკოლებს და სასწავლებლებს — თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში გადარიცხონ ფულადი სახსრები საქართველოს საადგილმამულო ფონდში. მეგობრებო, თქვენს მიერ გადმორიცხული თითოეული მანეთიც კი ძვირფასია ფონდისათვის! რაც შეეხება ჩემს მუშაობას, 1989 წლის ნოემბრიდან დღემდე ა. ხომერიკთან, ჯ. მდივანთან და სხვა მომღერლებთან ერთად გავმართეთ 6 საქველმოქმედო კონცერტი, რომლებმაც ფონდს 3 მილიონამდე მანეთი შესძინა. აგრეთვე მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი საამაყო მომღერლის პ. ბურჭულაძის საქველმოქმედო კონცერტს, რომლის შემოსავალმა მილიონს მიაღწია.

— რამ განაპირობა თქვენი სიახლოვე სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან?

— მერაბ კოსტავას საზოგადოებაში მერაბის სული ტრიალებს, მისი სიცოცხლე გრძელდება... მით უმეტეს, რომ ამ საზოგადოებაში თავი მოიყარეს ეროვნული მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა; წმიდა, თავდადებულმა ადამიანებმა. მათ გვერდით ყოფნა საოცრად მეამაყება!

— კომუნისტური პარტიის წევრობა ხელს ხომ არ გიშლით აქტიურად ჩაებათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში?

— მიუხედავად იმისა, რომ კომპარტია არ შეიძლება იყოს ეროვნული თავისი იდეური არსით, პარტბილეთი მე მაინც არ მიშლის ხელს ვიაზროვნო ეროვნულ საწყისებზე. ხალხის შეგნებაში გარკვეული ძვრები მოხდა — აბა, დაფიქრდით, როდის გაიგო ჩვენმა თაობამ 1921 წლის ანექსიის შესახებ, 26 მაისის შესახებ, როდის გავიგეთ, რომ კომპარტიამ ერთი მუჭა ქართველი კომუნისტების სახით მეორედ დაიპყრო საქართველო რუსეთისათვის და ამოწყვიტა ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი... განა რა მონანიება უშველის ამას? პარტიიდან გასვლა ასეთ მდგომარეობაში ყველაზე ადვილია — მოიხსნი ყოველგვარ პასუხისმგებლობას. დღესდღეობით კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა თავისი ავტორიტეტი, ახლა იქიდან გამოსვლა დაემგვანება გაქცევას გემიდან, რომელიც ძალზე სწრაფად იძირება. ამავე დროს, როგორც კომუნისტური პარტიის წევრი, არ ვაპირებ თავი ავარიდო იმ უმძიმეს პასუხისმგებლობას, რომლის წინაშე დგას საქართველოს კომპარტია 9 აპრილის სამინელებების შემდეგ.

— რას შეცვლიდით საქართველოში მუსიკალური განათლების სფეროში?

— პირველ რიგში, მუსიკალურ სკოლებში გავაძლიერებდი დაწყებითი სწავლებაც ქართულ რეპერტუარს. ჩვენს ბავშვებს ძალზე სჭირდებათ ქართული სახელმძღვანელოები მუსიკაში, საბავშვო რეპერტუარი, რომელიც უმთავრესად ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან იქნება შედგენილი. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ოპერის თეატრში ოდითგანვე დამკვიდრებული ტრადიცია ქართული საბავშვო ოპერების დადგმისა. რეპერტუარიც საკმარისად გაგვაჩნია: ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“, მ. დავითაშვილის „ნაცარქექია“, ვ. გოკიელის „წითელქუდა“, ნ. მამისაშვილის „ბაქია-ბაჭია“ და სხვ. მე რომ მკითხოთ, ჩვენს ბავშვებს სულაც არ სჭირდებათ ის არაპროფესიული, გემოვნებას მოკლებული ე. წ. „კაპუსტნიკები“, რომლებითაც ოპერის თეატრი აგერ მეორე წელიწადია საახალწლოდ „კვებავს“ ჩვენს მომავალ თაობას, მუსიკალური ესთეტური მთლიანი აღზრდის გარეშე ტოვებს მათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალ კულტურულ მსმენელსა და ხელოვნების ქეშმარიტ შემფასებელს აღზრდა სჭირდება.

— რას იტყოდით ახალგაზრდა საოპერო მომღერლებზე, საიმედო ხელშია ჩვენი ოპერის მომავალი?

— საბედნიეროდ, ნიჭიერი და საინტერესო ძალები გვყავს, მათ უკვე გარკვეული ნაბიჯები გადადგეს მსოფლიო ასპარეზზე. ახალგაზრდებიდან მინდა გამოვყო მშვენიერი სოპრანო იანო ალიბეგაშვილი, რომელსაც ჩემს შემცვლელად ვთვლი. იანო არის უდიდესი ნიჭის მქონე, ბრწყინვალე ტალანტი და დიდი მომავალიც აქვს. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს თავისი წარმატებებით. იანოს მხოლოდ ერთ შენიშვნას მივცემდი დიდი სიყვარულით: იყოს უფრო მეტად მოკრძალებული თავის მიღწევების გაანალიზებაში (ამას ხალხი გააკეთებს) და ნუ დაიბრალებს იმას, რაც ჯერ არ გაუკეთებია.

— რადგან საოპერო მომღერლებზე ჩამოვარდა საუბარი, ხომ არ გვეტყოდით, რამ გამოიწვია თქვენი წასვლა თეატრიდან?

— ოპერის თეატრიდან მარტო მე არ წავსულვარ, თეატრი დატოვეს ალექსანდრე ხომერიკმა და რევაზ ლაგვილავამ. მიგვაჩნია, რომ სანამ თეატრში იბატონებს ხელმძღვანელობის ე. წ. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური შეთოდი, სანამ თეატრის დასი იცავს არა პრინციპებს, არამედ პრაგმატიკას, რომელიც ჩვენი ცხოვრების „იდეალებისაგან“ ქმნის ერთგვარ სუდარას იდეური და სულიერი გახრწნილების დასამალავად, სანამ არსებობს ე. წ. „ექსპერიმენტი“, რომელმაც საბოლოოდ დასცა სპექტაკლების საშემსრულებლო დონე და დააკარგვინა თეატრს მაყურებელი, სანამ არ გამოვააშკარავებთ გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც ჩაგდებული აქვს ხელში ოპერის თეატრი და კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს — მანამდე უკვე დაკნინების გზაზე დამდგარი, მაყურებელდაკარგული ჩვენი საოპერო ხელოვნება შეიძლება სულ ჩაიფერფლოს. თეატრში მაყურებლის მოსაზიდად „პრესტიჟულ“ სპექტაკლებზე ისეთი კურიოზებიც კი ხდება, რომ მუსიკალურ სკოლებში ბავშვებს და მასწავლებლებს ადებინებენ ხელმოწერით დადასტურებულ პირობას, რომ აუცილებლად დაესწრონ სპექტაკლებს, თორემ ერთნი ნიშანს არ მიიღებენ, მეორენი — ხელფასს; წარმოიდგენდით ასეთ რამეს? ამბობენ, რომ ასე იყო რამდენჯერმე „აბესალომ და ეთერის“, „ბალ-მასკარადის“ და „დაისის“ წარმოდგენისას. კულტურის მინისტრს სტუმრები (იმპრესარიოები) ჰყავდა მოყვანილი და ცარიელ დარბაზს ხომ არ აჩვენებდა?!

ახლა ავიღოთ ქართული რეპერტუარი: ეროვნულ საოპერო თეატრში ეროვნული რეპერტუარი „გერის“ მდგომარეობაშია: იდგმება სულ სამი ოპერა, ისიც ძალიან ცუდ დღეში და მოუვლელნი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არაქართველ კომპოზიტორთა წინააღმდეგი არა ვართ, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ვერდის, პუჩინის, ჩაიკოვსკის, პროკოფიევს და სხვებს ბევრი ძლიერი პატრონი ჰყავთ. ნუთუ ასე აუცილებელია, რომ ჩვენი ოპერის თეატრიც გახდეს, ასე ვთქვათ, მათი ჭირისუფალი? მაშინ ქართულ ეროვნულ რეპერტუარს ვინღა უპატრონებს — დიდი თეატრი თუ მილანის „ლა-სკალა?“ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არავითარ შემთხვევაში არ ვარ წინააღმდეგი მსოფლიო შედევრების დადგმისა ჩვენი თეატრის სცენაზე, მაგრამ აბა დავფიქრდეთ: დიდი თეატრის მსოფლიო აღიარება და პოპულარობა ვერდის „აიდით“, „ტრუბადურით“, პუჩინის „ტოსკათი“ განისაზღვრება თუ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვით“, გლინკას „ივანე სუსანინით“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალით“ და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? როდესაც დიდ თეატრში უმაღლეს დონეზე დგამენ თავიანთ ეროვნულ რეპერტუარს, მხოლოდ მაშინ აძლევენ თავს უფლებას იმუშაონ „აიდაზე“, „ტრუბადურზე“, „ტოსკაზე“ და სხვ. და სხვ. ჩვენთან კი რა სურათია, რაზე ვიხარჯებით? სადაა ქართული ეროვნული რეპერტუარი? განა ბევრია მსოფლიოში ერი, რომელსაც აქვს თავისი ეროვნული საოპერო მუსიკა? ჩვენ კი გაგვაჩნია და არ ვუვლით. რატომ არ უნდა იდგმებოდეს ოპერის თეატრში მ. ბალანჩივაძის ბრწყინვალე ოპერა „დარეჯან ცბიერი“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ა. კერესელიძის „ბაშიაჩუკი“ — მშვენიერი, მელოდიური მუსიკით, შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ — დიდებული გუნდებით და სოლოებით? ა. მაჭავარიანის „ჰამლეტი“? ნუთუ საკმარისია მოქმედ რეპერტუარში მხოლოდ ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, რომელიც ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დაიდგა? რაც შეეხება ქართული საოპერო მუსიკის მარგალიტს, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს,“ მამა-შვილმა კახიძეებმა იგი ურცხვად გადააკეთეს და დაარქვეს „ბარბალე“, რომელიც დღესდღეობით „ახარებს“ ქართველ მაყურებელს: ვერა და ვერ ეღირსა მრავალტანჯული კომპოზიტორის ნათელი ხსოვნა, რომ მისი სახელის შემლახველთ საკადრისი პასუხი მიეზღოთ ჩადენილი დანაშაულისათვის. ვერა და ვერ მოვიცალეთ საამისოდ, არა და ვ. დოლიძის დაბადებიდან 100 წლისთავი კარზეა მომდგარი. მე აღარაფერს ვამბობ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორებზე, რომლებსაც ბევრი საინტერესო, მაღალპროფესიული ოპერები აქვთ შექმნილი. ისინი უმიდოდ არიან გაჩერებული. აბა რა ქნან: მუსიკალური ხელოვნება საქართველოში ერთ მუჭა მაფიას აქვს ჩაგდებული ხელში, ისინი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, განაკითხვი კი არ ჩანს! არა და ყველამ ხომ ვიცით: ხელოვნება ხალხის, ჩვენი კუთვნილებაა! ალბათ ისევ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ უნდა ვეცადოთ იმას, რომ გამოვიყვანოთ ხელოვნება ავტორიტარიზმის და კონსერვატიზმის მდგომარეობიდან.

— ხართ თუ არა ოპტიმისტი და რაში გამოიხატება თქვენი ოპტიმიზმი?

— ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება შემხვედრია: გამომიცდია დიდი გაჭირვება, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური. მიშველა იმან, რომ ძალზე ჯანმრთელი გახლავართ... ამდენ ბრძოლაში ნელნელა გამომიმუშავდა სულის სიმტკიცე და მომავლის რწმენა. აი, შთელი ჩემი ოპტიმიზმი! მაგრამ ძარტო ვერაფერს მივაღწევდი, დედაჩემი რომ არ მყოლოდა გვერდით...

— რა არის თქვენი ჰობი?

— სპორტი. ძალიან მიყვარს მაგიდის ჩოგბურთი და ფარიკაობა.

ჩაიწერა ენვერ ჩარკვიანმა

P. S. ამჟამად ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ოპერის თეატრიდან ჩვენ თვითონ წავედით და ხელმძღვანელობას არავითარი წვლილი ამაში არ მიუძღვის.

ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს, ჩემო ექსხელმძღვანელებო! აბა როგორ დაგიჯეროთ, როდესაც ხომერიკის განცხადებას წასვლაზე სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯანსუღ კახიძემ ორ საათში მოაწერა ხელი, ჩემსას — ერთ კვირაში, ისე, რომ არც კი დაინტერესებულან, რისთვის და რატომ მივდიოდით: „თუ არ მოგწონთ, მიბრძანდით“-ო.

ვ. თომაძე

უცხოური პრესის ფურცლებზე

მშვიდობა ძალზე სათუთი რამ არის

ალბერტ შვეიცერის სახელობის სამშვიდობო ცენტრმა თხოვნით მიმართა ლიტვის პრეზიდენტს ვიტაუტას ლანდსბერგისს მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე გაითვალისწინოს საბჭოთა კავშირიდან ლიტვის გამოყოფის ძალზე დაჩქარებული პროცესით გამოწვეული შესაძლო შედეგები.

კომიტეტის კურატორიუმის წევრები არიან თვით შვაიცერის ქალიშვილი — რენა შვეიცერ-მილერი, მწერალი გიუნტერ ანდერსი, ბრაზილიელი არქიეპისკოპოსი ჰელდერ კამარა, მშვიდობისათვის მებრძოლი რობერტ იუნგკი, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიისა და მშვიდობის დაცვის დარგში ლინუს პაულინგი. ლანდსბერგისისადმი გაგზავნილი წერილი სიტყვა-სიტყვით შემდეგი შინაარსისაა:

ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო!

ჩვენ თანავუგრძნობთ ლიტველი ხალხის ისტორიულადაც მოტივირებულ სურვილს თვითონ განსაზღვროს საკუთარი, როგორც თანასწორუფლებიანი ხალხის, საბომავლო გზა. იგივე სურთ სხვა ხალხებსაც. ჩვენ ბევრს ვფიქრობთ ქართველ ხალხზე საბჭოთა კავშირში, ვფიქრობთ გერმანელ ხალხზე ორივე გერმანულ სახელმწიფოში.

ამავე დროს ამ ხალხებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ირგვლივ მყოფი სხვა ხალხები და სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანება ისწრაფვიან მშვიდობისათვის როგორც ამ ქვეყნების შიგნით, ასევე მათ გარეთ, რადგან მშვიდობას ძალზე სათუთი მოპყრობა ესაჭიროება.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მასათვალისწინებელია ის სიტუაციაც, რომელშიც თავისი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს საბჭოთა პრეზიდენტსაც, აიძულებს ყველა ადამიანს მსოფლიოში იქონიოს იმედი იმისა, რომ საბჭოთა კავშირ-ლიტვას შორის კონფლიქტის შემთხვევაში მოიძებნება ყველასთვის მისაღები და მშვიდობის შესანარჩუნებლად საჭირო გზები.

ამ დღეებში ჩვენ ვფიქრობთ უპირველეს ყოვლისა ჩვენს მეგობარ ქართველ ხალხზე. დღემდე მათი ლიდერები ახერხებდნენ იმას, რომ ადგილი არ ჰქონოდა ძალის გამოყენებას ხალხის მხრივ საბჭოთა არმიის მიმართ, რომელსაც დღემდე ოკუპირებული აქვს ეს ტერიტორია. და ყოველივე ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საბჭოთა ჯარების სპეციალურმა დანაყოფებმა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე მრავალი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირეს.

ამ ხალხის ლიდერებმა ხალხთა შორის კონფლიქტების მოსაგვარებლად და ძალების გამოყენებაზე უარის სათქმელად გაწეული მუშაობისათვის ჩვენი კავშირის ალ. შვეიცერის სახელობის მედალი მოიპოვეს. ახსოვთ რა ყოველივე ეს, ისინი ცდილობენ დამოუკიდებლობას მიაღწიონ მშვიდობიანი გზით.

ლიტველი ხალხის ლიდერებიც დაიმსახურებენ ამ მედალს, თუ ისინი თავიანთ საქმიანობას ალ. შვეიცერის „სიცოცხლისადმი უდიდესი პატივისცემის“ და ძალმომრეობაზე უარის თქმის დეკალზით წარმართავენ ლიტვის სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე.

ახალ გზას, რომელსაც საბჭოთა კავშირი 1985 წელს მისი ახლანდელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით დაადგა, შეიძლება მართლაც რაღაც ახალი ეწოდოს.

ეს არის გზა, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, მივყავართ უფრო მეტი და ჭეშმარიტი მშვიდობისაკენ მსოფლიოში და მსოფლიოს სხვა ხალხებსაც უხსნის გზას მშვიდობისაკენ, ამიტომ ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ იმისაკენ, რომ გარდაქმნა არ შეფერხდეს და დიალოგი შეუქცევადი გახდეს.

მეოცე საუკუნის ეკოლოგიის და მშვიდობისათვის უდიდესი მებრძოლის ალ. შვეიცერის სულისკვეთებით გამსჭვალულნი, ჩვენი კავშირის სახელით გულითად სალამს და საუკეთესო სურვილებს ვუგზავნით მთელ ლიტველ ხალხს.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ გორბაჩოვს კი გვსურს ყოველივე საუკეთესო ვუსურვოთ მის ძნელ საქმიანობაში.

ალბერტ შვეიცერის სამშვიდობო ცენტრი

ბიუნტერ ჰაიკი, პასტორი

„ფრანკფურტერ რუნდშაუ“, 11 აპრილი, 1990.

ჩემი პატარა ლენინიანა

სმოლნი, ზინოვიევს:

„ცნობილი ფიზიოლოგი პავლოვი საზღვარგარეთ წასვლას ითხოვს. არა მგონია, რაციონალური იყოს მისი გაშვება უცხოეთში. მან ადრეც გამოთქვა აზრი, რომ მას, როგორც სიმართლისმოყვარულ ადამიანს, საკითხის წამოჭრის შემთხვევაში არ შეუძლია არ გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი რუსეთში საბჭოთა წყობისა და კომუნიზმის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა, გამონაკლისის წესით მისთვის მიგვეცა ზენორმული ულუფა“ (25 ივნისი, 1920).

„გთხოვთ ჩაატაროთ ნარკომთა თათბირი ფაბრიკებისა და ქარხნების გამოჯანსაღების შესახებ — მჭამელთა რაოდენობის შემცირების გზით“ (2 აპრილი, 1921).

შრომისა და თავდაცვის საბჭოში:

„ჩვენი სახლები ბინძურად შეურაცხყვეს. ათჯერ უფრო ზუსტად უნდა დაასახელოთ პასუხისმგებელი პირები და დაუნდობლად ჩასვათ ციხეში“. (8 აგვისტო, 1921).

„ცენტრბეჭდვიდან მოითხოვეთ სასწრაფოდ გამოგზავნონ „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განკარგულებანი“; წინააღმდეგ შემთხვევაში მე მათ ციხეში ჩავსვამ“.

„დაურეკეთ ბელენკოს და უთხარით, რომ მე გაავებული ვარ“. ბრიუხანოვსა და პოტიასნუს კი უთვლის: „თუ ერთხელ კიდევ წაიჩხუბებით, ორივეს გაგყრით და ჩაგსვამთ“ (აგვისტო 1921).

„გვიან გაფორმეს შეკვეთა წყლის ტურბინებზე, რაც საშინლად გვჭირდება. უმაღლესი უმსგავსობა და უსინდისობაა! აუცილებლად იპოვეთ დამნაშავენი, რომ ეს საზიზღრები ციხეში ჩავალპოთ“ (13 სექტემბერი 1921).

„სახელმწიფო გამომცემლობიდან მივიღე ახალი წიგნი. ს. მასლოვი, „გლეხური მეურნეობა“. ერთი გადათვალიერებითაც ჩანს, რომ „მეცნიერული“ ტყუილით გამაბრუებელი ბურჟუაზიული საძაგლობაა.

ამ წიგნს მხოლოდ სულელი ან ბოროტგანმზრახველი მესაბოტაჟე თუ გაუშვებდა.

გთხოვთ, გამოიძიოთ და მომახსენოთ ამ წიგნის რედაქტირებისა და გამოშვებისათვის პასუხისმგებელი ყველა პირის ვინაობა“ (7 აგვისტო, 1921 წ.).

საბრალო პროფესორი ტიხვინსკი, რომელიც მთავარი ნავთობკომიტეტის პეტროგრადის ლაბორატორიას განაგებდა, ილიჩის ერთი ფრაზას შეეწირა: „ტიხვინსკი ტყუილუბრალოდ არ დაუჭერიათ: ქმია და კონტრრევოლუცია ერთმანეთს არ გამორიცხავენ“ (სექტემბერი 1921), დახვრიტეს 1921 წელს.

ნახშირის მრეწველობის მთავარ სამმართველოში:

„გვაქვს ეჭვები სანგრევი მანქანების მიზანშეწონილ გამოყენებასთან დაკავშირებით; ის საწარმოო ეფექტი, რომელსაც ამხ. პიატაკოვი მოელის სანგრევი მანქანების გამოყენებით, აშკარად გაზვიადებულია, წერაქვით უკეთესია, თანაც იაფი“ (აგვისტო, 1921).

იწყება პროფესურის დევნა.

კამენევსა და სტალინს:

„გაათავისუფლეთ მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლიდან 20-40 პროფესორი. ისინი ჩვენ გვასულელებენ“ (21 თებერვალი, 1922).

ფ. ე. ძერჟინსკის:

„მწერალთა და პროფესორთა უცხოეთში გასახლება გულდასმით უნდა მომზადდეს. პოლიტბიუროს წევრები დაავალდებულეთ კვირაში 2-3 საათი გამოყონ მთელ რიგ გამოცემათა და წიგნთა გაცნობად. სისტემატურად შეკრიბეთ ცნობები პროფესორთა და მწერალთა პოლიტიკური სტაჟის, მუშაობისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. დაავალეთ ამის ორგანიზება განათლებულ, პედანტ და მიმზოლ ადამიანს სახელმწიფო პოლიტსამმართველოდან“.

„ნოვაია როსიას“ ყველა თანამშრომელი როდია უცხოეთში გადასახლების კანდიდატი. სხვა საქმეა პიტერის ჟურნალი „ეკონომისტი“. ეს, ჩემის აზრით, თეთრგვარდიელთა აშკარა ცენტრია. № 3-ის გარეკანზე დაბეჭდილია თანამშრომელთა გვარები. ყველა ისინი ნამდვილი კონტრრევოლუციონერები, ანტანტის ხელშემწყობნი, მის მსახურთა ორგანიზაცია, ჯაშუშები და მოსწავლე-ახალგაზრდობის გამრყვნელები არიან. საქმე ისე უნდა დააყენოთ, რომ ამ მავნეებს მუდმივად იჭერდეთ და სისტემატურად ასახლებდეთ საზღვარგარეთ.

გთხოვთ, ეს საიდუმლოდ, გაუხმაურებლად აჩვენოთ პოლიტბიუროს წევრებს, შემდეგ კი უკან დაგიბრუნონ თქვენ და მე“ (10 მაისი 1922).

და ბოლოს — ორი უხმაურო აკორდი. პირველი მთგანი ცრემლებს მოგვგვრით, მეორეც — ასევე.

ამხ. უნშლიხტს:

„რევტრიბუნალთა საჯაროობა (უკვე) აღარაა საჭირო. მისი შემადგენლობა გააძლიერეთ თქვენი ხალხით, გააძლიერეთ ის საკავშირო ჩეკასთან ყველანაირი კავშირით, გააძლიერეთ მათი რეპრესიების სისწრაფე და ძალა. მოელაპარაკეთ სტალინს, აჩვენეთ მას ეს წერილი“ (31 იანვარი, 1922).

ამხ. კამენევს:

„არ შეგიძლიათ გასცეთ განკარგულება, რომ ინესა არმანდის საფლავზე ყვავილები დარგონ?“

3. ეროფეევი,
მოსკოვი, 5-6 თებერვალი, 1988.

დასასრული

* დასაწყისი იხ. „სარანგი“ № 2.

აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი...

„დიდი“ ერის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით...

ამასწინათ, პროფესიონალმა პოლიტოლოგმა ბ-ნმა რამაზ კლიმიაშვილმა გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში სათაურით „რა შეიძლება მოხდეს?“, მრავალ, ჩვენი აზრით, ერთობ პარადოქსულ მოსაზრებათა შორის, ასეთი აზრიც გამოთქვა: „ქვეყნის პრეზიდენტს თავის პრესტიჟის შესანარჩუნებლად ესაჭიროება, რომ თუ ისინი წავლენ, ეს მოხდეს მისი წესებით და არა პატარა რესპუბლიკებისა, თორემ პრეზიდენტს არავინ გაუწევს ანგარიშს არც საბჭოთა კავშირში, არც საზღვარგარეთ... ლიტვა აჩქარდა, შეცდომა შეცდომაზე მოსდის, ვერ ითვალისწინებს „დიდი“ ერის ფსიქოლოგიას... შეიძლება პარტნიორს პატივი არ ვცეთ, მაგრამ პოლიტიკურ თამაშში ფსიქოლოგიური მხარეც ხომ გასათვალისწინებელია!“ („თბილისი“, 1990 წ. № 94).

ვფიქრობთ, რომ ამჟამად ლონდონში მცხოვრები ბ-ნი პოლიტოლოგის ნათქვამს „თამაშის ფსიქოლოგიური მხარის გათვალისწინების“ შესახებ, აკლია და საჭიროა დაემატოს შემდეგი სიტყვები — „გასათვალისწინებელია აგრეთვე პოლიტიკური თამაშის ფინანსური მხარეც...“

ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ ამგვარი აზრის სამართლიანობა და ამით კიდევაც ვუპასუხოთ კითხვას „რა შეიძლება მოხდეს?“, რომელსაც, ჩვენი აზრით, ქართველთა „მასების პოლიტიზაციით შეშინებული“ ბ-ნი პოლიტოლოგი აყენებს მკითხველის წინაშე.

დღევანდელ საქართველოში, ალბათ, ბ-ნი აკაკი ბაქრაძე ის პიროვნებაა, ვისაც ბევრი რამ დაეჯერება. და აი, რას წერს ბ-ნი აკაკი: „გერმანიას დღესაც ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი აქვს. ორივე გერმანიაში, გფრ-შიც და გდრ-შიც დგას საოკუპაციო ჯარი... მაგრამ გფრ-მ ეკონომიკურად მაინც დაამარცხა ოკუპანტები და არსებითად, დაიქვემდებარა. ჯერ, ალბათ, თითო-ოროლა პოლიტიკოსმა თუ იცის, რამდენ მილიარდ მარკად იყიდა გფრ-მ გდრ-ი. მალე ესეც ცნობილი გახდება...“ („მაშული“, 1990 წ. № 8).

თუ ვის გადაუხადა გფრ-მ ის მილიარდები, რაზეც ბ-ნი აკაკი ლაპარაკობს, ვფიქრობთ, გასაგებია...

ახლა გავეცნოთ დაბეჭდილ ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის ლორენს სამმერსის მსჯელობას: („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 19 მარტი, 1990 წ.): „დაასახელა რა ფასი, რამდენადაც ლიტვას შეუძლია მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მოსკოვი უფრო შორს წავიდა და აშკარად აღიარა, რომ დამოუკიდებლობა მიცემულ იქნება, — რჩება მხოლოდ დეტალებზე შეთანხმება.

ვაი, რომ გამოსასყიდი ფასი 33 მილიარდი დოლარი აბსურდულია. თავისუფალ ბაზარზე ვალუტის სადღეისო კურსით, რაც შეადგენს ოფიციალური საბჭოთა კურსის ერთ მეოცედ ნაწილს, რის თანახმადაც აგებულია გორბაჩოვის გაანგარიშებები, 33 მილიარდი დოლარი ღირს დაახლოებით 500 მილიარდი მანეთი“ (იხ. „სოგლასიე“, 1990 წ. № 16), ხოლო ცნობილმა საბჭოთა პუბლიცისტმა ვასილი სელიუნინმა, მოსკოვში 1990 წ. 31 მარტს ლიტვის მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე, თურმე, ასეთი რამ განაცხადა: „ეს ხელისუფლება ანგარიშს უყენებს მის მიერვე დამონებულ ერს. შემოსვლაში მანეთი, გასვლაში — ორი მანეთი. საკუთრებით, როგორც „ქურდულ მალინაშია“., ხელისუფლებას სურს გახსნას ვაჭრობა...“ (იხ. „ატმოდა“, 1990 წ. № 14).

გამოგიტყდებით, ყოველივე ამის ციტირება ჩვენს გულში **მერვე მცნების** („არა იპარო“. **რედ.**) დარღვევის შიშს იწვევდა!... მაგრამ, ეტყობა, ამჯერად სიმართლე ჩვენს მხარეს უნდა იყოს. განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია:

როგორც სკკპ ცკ-ს გაზეთი „რაბოჩაია ტრიბუნა“ გვეტყობინებს, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, გაზეთ „იომიურის“ მოუთავსებია ამგვარი კარიკატურა: ერთაშორისი კონფლიქტებით გატანჯული საბჭოთა კავშირი, გვერდით კი იაპონიის პრემიერ-მინისტრის ტ. კაიფუს ფიგურა, მხარზე გადაკიდული ფულის დასტებით სავსე ჩანთით, რომელსაც იგი მოწიწებით გვთავაზობს სსრკ-ს კუთვნილი რამოდენიმე კურილის კუნძულის ნაცვლადო („რაბოჩაია ტრიბუნა“, 1990 წ. № 82), ხოლო, იმას, რაც შემდეგ ვინმე ი. ტიტოვის ე. წ. პოლემიკურ სტატიაში „ვისია კურილიის კუნძულები?“ (რომელსაც წამძღვარებული აქვს ზემოთ ხსენებული კარიკატურის სიტყვიერი აღწერა), არის დაბეჭდილი, ალბათ, არავითარი დაეჭვება აღარ უნდა სჭირდებოდეს: „თუ ისეთი ქვეყანა, როგორიც იაპონიაა, საკმაოდ დაბეჯითებით და გამუდმებით აყენებს თავის მოთხოვნებს, მაშინ ჩვენ — სსრკ-ს ყველა მოქალაქემ, — უნდა გარკვევით ვიცოდეთ, რას ეყრდნობიან ისინი. რითია არგუმენტირებული, აქვთ თუ არა წონა ამ მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე, შევეცადოთ დავდგეთ ოპონენტის პოზიციაზე, გავიგოთ, რამდენად შეეხება მისი მოთხოვნები მის საარსებო ინტერესებს“. შემდეგ ბ-ნი ტიტოვი მოიხსენიებს მაკიაველს, როგორც „ჰუმანიზმისა და სახალხო ხელისუფლების იდეის პიონერს“ და იშველიებს მის სიტყვებს: „ხალხი... რაღაც იდუმალი ნიჭის წყალობით, ნათლად განსჯერეტს, რა შეიძლება აღმოჩნდეს მისთვის სიკეთედ და რა — ბოროტებად...“ და განაგრძობს: „ეს ნიშნავს, რომ ყველაზე მთავარია ნათელი და ობიექტური ინფორმაცია. ის დახურული არ არის... ფრონტელმა, რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა ჯარების გადასხდომაში სამხრეთ კურილიის კუნძულებზე 1945 წლის ზაფხულში, და ვისაც გავესაუბრე, აქამდე არ იცის, რომ იაპონიას სრულიადაც არ მიუტაცებია კურილის კუნძულები 1904-1905 წლების ომში, არამედ მიიღო ეს ტერიტორიები ხელშეკრულებით...“

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია! მთავარი ყოფილა ფულის დასტებით გატენილი ჩანთის მხარზე გადაკიდება და მისი მოწიწებით შეთავაზება („დიდი“ ერის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით...) და, შეიძლება ნ. მაკიაველიც სასახლის გადატრიალებათა იდეოლოგიის ნაცვლად ჰუმანიზმის იდეის პიონერად გამოაცხადონ.

აი, პასუხი იმ „ჰამლეტიანურ“ კითხვაზე, თუ „რა შეიძლება მოხდეს?“... რაც შეეხება ბ-ნ რ. კლიმიაშვილის ასეთ სიტყვებს (იმავე ინტერვიუდან) — „თუ საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა (ლაპარაკია 1990 წ. 9 აპრილზე — **გ. მ.**), მას მაშინვე მიყვებოდნენ ესტონეთის და ლატვიის პარლამენტებიც. ამ შემთხვევაში საბჭოთა არმია ვერ გაუმკლავდებოდა გეოგრაფიულად ასე დაშორებულ ორ რეგიონს, არჩევნების ჩაშლით ჩვენ ლიტვასაც ვუღალატეთ, ლატვია და ესტონეთიც შევაჩერეთ (?! — **გ. მ.**), ხოლო დამოუკიდებლობა ძალიან დიდი ხნით გადავდეთ...“ — ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამგვარი აზროვნება „ნისლიან ალბიონზე“ ბ-ნი პოლიტოლოგის საკმაოდ ხანგრძლივი და საამური ცხოვრების შედეგია!

ამგვარი, ერთობ „კატეგორიული“ დასკვნის გამოტანა კი იმანაც გაგვაბედინა, რომ ჩვენთვის ცნობილია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერის და, დაგვეთანხმებით, სავსებით „პოლიტიზირებული“ პიროვნების ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ასეთი მოსაზრებაც: „ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვიხსნათ და გავათავისუფლოთ ჩვენი სამშობლო, არამედ უნდა **ვიყიდოთ** იგი. დიახ, ხელახლა უნდა ვიყიდოთ კორუმპირებული კომუნისტების მიერ გაყიდული ჩვენი სამშობლო“ („სარანგი“, 1990 წ. № 2). ე. ი. თურმე ნამდვილად არსებობს ჩვენს მიერ ნახსენები „პოლიტიკური თამაშის ფინანსური მხარეც“.

დასასრულ, რადგან სამშობლოსადმი მის სიყვარულში ეჭვის შეტანის არავითარი უფლება არ გაგვაჩნია, ჩვენ გვინდა ვთხოვოთ ბ-ნ რამაზ კლიმიაშვილს, რომ, როდესაც „მიუნჰენში საშუალება მიეცემა მიუჯდეს მიკროფონს მსოფლიო რადიოტელეზე გასასვლელად“, — იქნებ შეძლოს და გამოაცხადოს მიმართვა **საქართველოს გამოსასყიდი მსოფლიო საქველმოქმედო ხავალუტო ფონდის დაარსების შესახებ** (საჯაროდ ვაციადებთ, ამ იდეის ავტორობაზე არავითარი პრეტენზია არ გვექნება).

... თუ რაიმე უნდა მოხდეს, პირველ რიგში ეს უნდა მოხდეს!

გურამ მჟელიძე

განცხადება

ამა წლის 9 მაისს დაიწყო და მიმდინარეობს პოლიტიკური აქცია კომკავშირის თვითლიკვიდაციის ერთადერთი მოთხოვნით.

აქციის ორგანიზატორები არიან საქართველოს ჰელსინკის კავშირი, მონარქისტულ (კონსერვატული) პარტია, წმიდა ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება.

კომკავშირის ცეკას ყოფილ შენობასთან ყოველდღიურად 19 საათიდან ეწყობა საპროტესტო საინფორმაციო მიტინგები.

„სარანგი“

რედაქციის მისამართი და ტელეფონები: **ბალაკტიონის ქუჩა, № 17.**

ტელ.: **99-83-58.**

ფასი 50 კაპ.

სარედაქციო კოლეგია